ნინო გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე

ნამდვილი და მოგონილი ამბები

საკითხავი და სავარჯიშოები მეორეკლასელთათვის

ეს წიგნი ეკუთვნის

სახელი .....

გვარი .....

სარჩევი

გურამ რჩეულიშვილი	4
ზაზა აბზიანიძე	13
ვაჟა-ფშაველა	16
იაკობ გოგებაშვილი	29
აკაკი წერეთელი	30
შემეცნებითი ტექსტები	40
ედიშერ ყიფიანი	49

1

სამი ნაწყვეტი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობიდან

„შემოდგომა ბაბუა კოტესი"

გურამ
რჩეულიშვილი

ლეილა

პირველკლასელმა ლეილამ ეზოში „დაჭერობანას" სათამაშოდ გათვლა დაიწყო:

– წი-თე-ლი ვაშ-ლი გა-გორ-და!

შენ თუ მე? შენ და-გი-ჭი-რე!

რე, რე, რე, – დააყოლებდა ხოლმე კისკისით.

გათვლილი ბავშვი გვერდზე დგებოდა.

ბოლოს ყველაზე პატარა დარჩა.

– „იჭერ"! „იჭერ"! – დაუძახეს აქეთ-იქიდან და ეზოში გაიშალნენ.

დამჭერი სულ ხუთი წლისა იყო, სახელად – პეტო. სამი წლით უფროსებს სისწრაფით ვერაფერი დააკლო. სამაგიეროდ, იმარჯვა და მოხერხებით დაიჭირა შვიდი წლის ვატო.

სირბილით დაიღალნენ. ახლა ლეილამ ქვიშის ყუთისაკენ წაიყვანა ყველა.

დავალებები

1. რას თამაშობდნენ ბავშვები?

2. რამდენი წლის იყო დამჭერი?

3. ვინ დაიწყო გათვლა? მონიშნე:

- [ ] პეტომ
- [ ] ვატომ
- [ ] ლეილამ

4. როგორი არ იყო პეტო?

- [ ] ყველაზე პატარა
- [ ] მოხერხებული
- [ ] ყველაზე სწრაფი

5. როგორია ლეილა?

- [ ] ნელი და მშიშარა
- [ ] ყოჩაღი და ხალისიანი
- [ ] ნაზი და მორცხვი

განმარტე, რატომ ფიქრობ ასე.

6. ჩაწერე გამოტოვებული ასოები:

გათვლილი ბა ი გვე ე

დგებოდა.

7. ხაზით დააკავშირე სრული სახელი მოფერებით სახელთან:

ა. ვატო — პეტრე

ბ. კოტე — ვახტანგი

გ. პეტო — კონსტანტინე

8. იპოვე და ამოიწერე ხმამაღალი სიცილის აღმნიშვნელი სიტყვა:

9. გაიხსენე გათვლა:

„წითელი ვაშლი გაგორდა!

შენ თუ მე? შენ დაგიჭირე!“

ამოიწერე გათვლიდან 3 ერთმარცვლიანი სიტყვა:

1. 2. 3.

10. რას ნიშნავს – „ნაწყვეტი მოთხრობიდან“?

- [ ] მოთხრობის ერთ გვერდს
- [ ] მოთხრობის ერთ-ერთ ნაწილს
- [ ] მოთხრობის დასაწყისს

11. შენი აზრით, როგორ გაგრძელდება მოთხრობა?

2 ქვიშის ყუთთან

ლეილამ პატარა პეტო ნიჩბისა და ვედროს მოსატანად გააგზავნა.

– ბაბუა, ბაბუ, ბაბუუ! – წვრილი ხმით ყვიროდა ბავშვი.

მეხუთე სართულიდან მოხუცმა გადმოიხედა.

– ბაბუ, ჩემი ვედრო და ნიჩაბი ჩამოუშვი, რა, – შეეხვეწა ქვევიდან.

ბაბუამ გრძელი თოკი სწრაფად მოაბა პატარა ვედროს, შიგ ნიჩაბი ჩადო და ნელა დაუშვა.

პეტომ უცებ მოხსნა ორივე სათამაშო და უკან მოუხედავად გავარდა ქვიშის ყუთისაკენ.

დაიწყო გვირაბების, ლიანდაგების, გზების გამალებული მშენებლობა.

დავალებები

1. რისგან აშენებდნენ ბავშვები გვირაბებს?

2. რას სჭირდება ლიანდაგი?

3. ვინ დაეხმარა პატარა პეტოს?

- ☐ ლეილა
- ☐ თავისი ბაბუა
- ☐ მეზობელი მოხუცი

4. რომელ სართულზე ცხოვრობს პეტო? მე-

განმარტე, როგორ მიხვდი ამას.

5. რას ნიშნავს – „გამალებული“?

☐ ძნელს ☐ მძიმეს ☐ სწრაფს

6. იპოვე ამ სიტყვაში ჩამალული სიტყვა და გვერდით მიუწერე:

გამალებული

7. იპოვე მსგავსი სიტყვა:

შეეხვეწა —

- [ ] უთხრა
- [ ] მოსთხოვა
- [ ] სთხოვა

8. საიდან ჩანს, რომ პატარა პეტო მარჯვე და ყოჩაღია?

- [ ] იგი წვრილი ხმით ყვიროდა.
- [ ] მან უცებ მოხსნა თოკს ორივე სათამაშო.
- [ ] ის ლეილამ ვედროს მოსატანად გააგზავნა.

9. რატომ ამბობს მწერალი – პეტო „უკან მოუხედავად გაიქცაო“?

- [ ] მიგვანიშნებს, რომ პეტოს ბაბუასი ეშინოდა.
- [ ] მიგვანიშნებს, რომ პეტოს თამაშის ჩქარა დაწყება უნდოდა.
- [ ] მიგვანიშნებს, რომ პეტოს ახლა ვატო მოსდევდა დასაჭერად.

10. მოუფიქრე მოთხრობის ამ ნაწყვეტს სხვა სათაური:

11. ვინ არის ამ მოთხრობის ავტორი?

3 ბაბუა კოტე

მოხუცმა ნელა დაიწყო თოკის ამოხვევა. დიდხანს ახვია გორგალი. ბოლოს კუთხეში მიაგდო. მერე კი უხალისოდ, მძიმედ დაეშვა სკამზე...

ბაბუა კოტე წამოდგა. იქვე, კუთხეში მიყუდებულ თავის ერთგულ ჯოხს დაავლო ხელი. ჩალის ქუდი დაიხურა. გარეთ გამოვიდა და კარი გამოიკეტა.

მესამე სართულზე ლიფტიდან ნაცნობი მოხუცი ქალი გამოვიდა კალათით ხელში. კოტე გულთბილად მიესალმა, კალათა ჩამოართვა და კარამდე მიაცილა. ერთხანს ისაუბრეს. მერე ბაბუამ გზა განაგრძო და ეზოში მოთამაშე შვილიშვილისკენ გასწია.

1. რამდენი აბზაცისგან შედგება მოთხრობის ეს ნაწილი?

2. რომელ აბზაცში გავიგეთ მოხუცის სახელი?

მე-

3. რატომ დასჭირდა მოხუცს თოკის გორგალი?

- [ ] მან ამ თოკით მეზობლის კალათა ქვემოთ ჩაუშვა.
- [ ] მან ამ თოკით შვილიშვილს სათამაშოები ჩააწოდა.
- [ ] მან ამ თოკით თავისი ჯოხი და ქუდი ქვემოთ ჩაუშვა.

4. ვისი ბაბუაა კოტე?

5. მოთხრობაში ვკითხულობთ:

„მოხუცმა დიდხანს ახვია გორგალი... მერე კი უხალისოდ, მძიმედ დაეშვა სკამზე“.

რაზე მიგვანიშნებს ამით მწერალი?

- [ ] მოხუცი მოუხერხებელია.
- [ ] მოხუცი მოწყენილია.
- [ ] მოხუცი შვილიშვილზე ბრაზობს.

6. რა ნივთები არ უნდა დაავიწყდეს მხატვარს, როცა ის ეზოში ჩასულ ბაბუა კოტეს ხატავს?

ჩაწერე ორი რამ:

1.

2.

7. საიდან ჩანს, რომ ბაბუა კოტე კეთილი და ყურადღებიანია?

8. შენი აზრით, რატომ გასწია ბაბუა კოტემ შვილიშვილისკენ?

- [ ] ხმაურიანი ბავშვებისთვის საყვედურის სათქმელად.
- [ ] პეტოსთვის ვედროსა და ნიჩბის მისატანად.
- [ ] პეტოსა და მისი მეგობრების ცქერით გასახალისებლად.

9. დახატე რომელიმე პერსონაჟი: ლეილა, პეტო ან ბაბუა.